მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №4

ქ. მარტვილი 3 მაისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 13:00სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ჯგერენაია, მინდია გაბისონია, ირაკლი დიხამინჯია, ჯამბულ ხუროძე, გოჩა ჯიქია, ნათია ქაჯაია.

სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ჯგერენაია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა საქმის წარმოებისთვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა საქმის წარმოებისთვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი დიხამინჯიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ფორმების დამტკიცებით შესაძლებელი იქნება მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ობიექტების მშენებლობებზე კონტროლი.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა საქმის წარმოებისთვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 6. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისთვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ საკითხი და საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ჯგერენაია